

სსრკ-თურქეთის ურთიერთობა 1919-1939 წლებში

მადონა გასანოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მადონა გასანოვა

20.06.2014

აბსტრაქტი

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ათწლეულების მანძილზე სამტრო ხასიათს ატარებდა. ბევრს ეგონა, რომ ხალხის მეხსიერებაში დაღეჭილი უნდობლობა ურთიერთნდობას ვეღარ მოიპოვებდა. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა და თურქეთის ახლადშექმნილი რესპუბლიკები, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობისგან იზოლაციაში იმყოფებოდნენ, ურთიერთობის ახალ ეტაპს იწყებენ.

საბჭოეთის მიერ თურქეთისათვის გაწვდენილი მეგობრობის ხელი, ბევრი მკვლევარის განმარტებით, რუსეთისათვის ოპორტუნისტული მოტივით ხორციელდებოდა. 1919-39 წლების საბჭოეთისა და თურქეთის ურთიერთობათა ანალიზი მართლაც ადასტურებს, რომ მეგობრობა ოპორტუნისტული იყო. თუმცა, მისი ყველაზე დიდი ბენეფიციარი თურქეთის რესპუბლიკა აღმოჩნდა.

თურქეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა და მთავარმა იდეოლოგმა, მუსტაფა ქემალმა, უფლება არ მისცა ქვეყანაში ბოლშევიზმი გავრცელებულიყო. მან მაქსიმალური დახმარება მიიღო საბჭოეთისგან, ინარჩუნებდა მეგობრულ ურთიერთობას და მსოფლიოს აჩვენებდა რომ იგი მშვიდობის მოსურნე იყო. ცივილიზაციის კერა ათათურქისთვის დასავლეთში ირწოდა. სწორედ ეს იყო მისი გეზი.

ნაშრომში განხილულია თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობები 1919-1939 წლებში. აღნიშნული პერიოდი მნიშვნელოვანია, რადგან თურქეთის შემთხვევაში გვაქვს იმპერიის დასასრული კლასიკური სახით (ოსმალეთის იმპერია შეცვალა ერმა-სახელმწიფომ, თურქეთმა), ხოლო რუსეთის შემთხვევაში იმპერია დე ფაქტო აღორძინდა, არაიმპერიული იდეოლოგიით. ბოლშევიკური რუსეთი თურქეთში სოციალიზმის დამკვიდრებას ცდილობდა, მაგრამ „ბოლშევიზმმა მუსულმანის სხეულში ადგილი ვერ დაიმკვიდრა“.

საბჭოთა იდეოლოგიის ქომაგთათვის თურქეთი ანტიკომუნიზმის ფლაგმანია. სწორედ თურქეთს თვლიან პოლონეთის ღირსეულ კონკურენტად, რუსეთის სიძულვილში.

რუსეთი და თურქეთი კავკასიის რეგიონში ყველაზე გავლენიან ძალებად რჩებიან. თურქეთის ახლადშექმნილ რესპუბლიკას რეგიონში საკუთარ ინტერესებზე არც 1919-39 წლებში უთქვამს უარი, როცა კავკასიის ქვეყნებზე გავლენის სფეროების გადანაწილება ხდებოდა.

ორი ქვეყნის ურთიერთობის ანალიზი მოხდა ისტორიულ დოკუმენტებზე, იმ პერიოდში მოღვაწე პირთა და მკვლევართა მასალების შესწავლის საფუძველზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა, მუსტაფა ქემალი, მუსულმანური თურქეთი, საბჭოთა იდეოლოგია, ანტიკომუნიზმი.